განკარგულება:გ-81. 81240874

თარიღი:27/03/2024

**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**განკარგულება №5**

**ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ**

---------------------------------------------------------------------------

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მეორე ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის‘‘ 88-ე მუხლის შესაბამისად,

**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დამტკიცდეს ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. /დანართი თან ერთვის/.

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

3. ყურადღება მიექცეს ბიუჯეტის სწორად დაგეგმვას და საეზერვო ფონდის ხარჯვა იყოს უფრო ეფექტური და გამჭირვალე.

4. დაევალოს მუნიციპალიტეტის მერიას მეტი ყურადღება დაეთმოს ინფრასტრუქტურული პროექტების სწორად დაგეგმვასა და მოცემულ ვადებში შესრულებას.

5. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი N1

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების

წლიური ანგარიში

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებიდან და მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას. ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების აღწერის და მიღწეული შედეგების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

ბიუჯეტის შესრულების დაგეგმილ მაჩვენებელთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, გრძელდება პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორების - საბაზისო, დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებლების გათვალისწინება (მათ შორის შედეგების შეფასების ნაწილში გენდერული ინდიკატორები).

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

| **მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები** |
|---|

| დასახელება | 2023 წლის გეგმა | | 2023 წლის საკასო შესრულება | |
|---|---|---|---|---|
| | სულ | მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებუ ლი ფონდები | სულ | მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებუ ლი ფონდები |
| შემოსავლები | **18562,2** | **7396,2** | **18220,6** | **7531,3** |
| გადასახადები | 10076,0 | 0 | 10049,0 | 0 |
| გრანტები | 7751,1 | 7396,2 | 7636,2 | 7531,3 |
| მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები | 7396,2 | 7396,2 | 7531,3 | 7531,3 |
| სხვა შემოსავლები | 735,1 | 0 | 535,4 | 0 |
| | | | | |
| ხარჯები | **11380,8** | **373,8** | **10895,4** | **373,7** |
| შრომის ანაზღაურება | 2728,7 | 0 | 2724,5 | 0 |
| საქონელი და მომსახურება | 2182,3 | 373,8 | 1944,7 | 373,7 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | | | | |
| პროცენტი | 20,3 | 0 | 20,3 | 0 |
| სუბსიდიები | 5284,3 | 0 | 5203,3 | 0 |
| გრანტები | 41,1 | 0 | 41,1 | 0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 586,3 | 0 | 579,3 | 0 |
| სხვა ხარჯები | 537,8 | 0 | 382,2 | 0 |
| | | | | |
| საოპერაციო სალდო | **7181,4** | **7022,4** | **7325,2** | **7157,6** |
| | | | | |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | **11756** | **10296,0** | **8154,8** | **7754,1** |
| ზრდა | 11926,0 | 10296,0 | 8210,8 | 7754,1 |
| კლება | 170,0 | 0 | 56,0 | 0 |
| | | | | |
| მთლიანი სალდო | **-4574,6** | **-3273,6** | **-829,6** | **-596,5** |
| | | | | |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | **-4629,8** | **-3273,6** | **-885,2** | **-596,5** |
| ზრდა | 00 | 0 | 0 | 0 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კლება | 4966,3 | -3273,6 | 774 | 596,5 |
| | | | | |
| ვალდებულებების ცვლილება | **-55,6** | **0** | **55,6** | **0** |
| ზრდა | 0 | - | - | - |
| საგარეო | | | | |
| საშინაო | 0 | | | |
| კლება | 55,6 | 0 | 55,6 | 0 |
| საგარეო | | | | |
| საშინაო | 55,6 | 0 | 55,6 | 0 |
| | | | | |
| ბალანსი | (0.00) | 0,00 | 0.00 | (0.00) |

შენიშვნა: ბალანსში გათვალისწინებულია ბიუჯეტის ანგარიშებზე მობრუნებული თანხები

2023 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 4629,9 ათ. ლარი.

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

(ათას ლარებში)

| დასახელება | 2023 წლის გეგმა | საკასო შესრულება | შესრულება %-ში |
|---|---|---|---|
| შემოსულობები | 18732,2 | 18276,6 | 98.0 |
| შემოსავლები | **18562,2** | 18220,6 | 99.0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 170 | 56,0 | 33,0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | | | |
| ვალდებულებების ზრდა | 0 | 0 | 0 |
| გადასახდელები | 23362,5 | 19161,8 | 82,0 |
| ხარჯები | 11380,8 | 10895,4 | 96,0 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 11926 | 7754,1 | 65,0 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | | | |
| ვალდებულებების კლება | 55,6 | 55,6 | 100 |
| ნაშთის ცვლილება | -4630,3 | - 885,2 | |

2023 წელს ფულადი სახსრების (ნაშთის) გამოყენებამ შეადგინა 4629,9 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების დაგროვებამ - 0 ათასი ლარი.

ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 18732,2 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 18276,6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 98%.

- შემოსავლები

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 18562,2 ათასი ლარი, ფაქტიურად 18220,6 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 99% და მთლიანი შემოსულობების - 99,97% შეადგინა.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 646,9ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 559,2 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 2,9 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 84,8 ათასი ლარი. ქონების გადასახადიდან მირებული შემოსავალი თითქმის ანალოგიურია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი – 641,7 ათასი ლარი) .

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 9402,1 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი - 8496,3 ათასი ლარი) შედარებით 905,8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

• <u>გრანტები</u> საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 7636,2 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 104,9 ათასი ლარი საქართველოში გერმანიის განვითარების ფონდი (GIZI) -„საირმის სვეტებთან მისასვლელი ბილიკების კეთილმოწყობა“ პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტისათვის ავანსად გამოყოფილი თანხა 48900ლარი, გაეროს განვითარების პროგრამის(UNDP) ფარგლებში რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოცხადებულ კონკურსში, მუნიციპალიტეტმა მოიპოვა დაფინანსება კულტურის ცენტრის რეაბილიტაციისათვის საპროექტო ტექნიკური დოკუმენტაციის მოსამზადებლად, რაც თანხობრივად შეადგენს 56,0ათ.ლარს. მიზნობრივი ტრანსფერი 623,8ათ.ლარი , მათ შორის 250,0 ათლარი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის , ხოლო 373,8 ათ.ლარი საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის. 500,0ათ.ლარი სპეციალური ტრანსფერი ფინანსური დახმარებისათვის, 1346,4 ათ.ლარი სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის, 620,0ათ.ლარი სოფლის პროგრამა და 1445,1ათ.ლარი სხვა მიმდინარე დანიშნულების ტრანსფერი.

III <u>სხვა შემოსავლები</u> საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 735.1 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 535.4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 73%-ია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი – 573,7 ათასი ლარი) შედარებით 38,3 ათასი ლარით ნაკლები, ძირითადათ არის შემოსავლები საკუთრებიდან და ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული . მათ შორის:

რენტის სახით მობილიზებულია 91.6 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 85.7 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 6.0 ათასი ლარი.

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 14.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (30.0 ათასი ლარი) 49%-ია. მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 0.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (5.0 ათასი ლარი) 0.08%-ია. მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე - 0.4 ათასი ლარი.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მიღებულია 0.2ათასი ლარი, გეგმა 2.0 ათასი ლარია.

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 14.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (23.0 ათასი ლარი) 61%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (13,0 ათასი ლარი) შედარებით 1.0 ათასი ლარით მეტია.

მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 22.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (65.0ათასი ლარი) 36%-ია. მათ შორის: შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 22.9 ათასი ლარი და შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან - 0 ათასი ლარი.

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 16.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (25.0ათასი ლარი) 67%-ია და 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელის ტოლია(16,2 ათასი ლარი) ,მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 14.6 ათასი ლარი, სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო - 2.1 ათასი ლარი, სხვა

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 389.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (360.1 ათასი ლარი) 109.0%-ია. მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 120.3 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები 116,9 სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები – 67,4 ათასი ლარი, სხვა კაპიტალური სემოსავლები 85,1ათ.ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 56,0 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 0 ათასი ლარი, მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 0 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 56,0 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა საანგარიშო პერიოდში განსაზღვრულია 4629,8 ათასი ლარით.

**ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ**

2023 წელს გადასახდელების შესრულების 82%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის (78%) მეტია, ხოლო თანხობრივად (2022 წელთან შედარებით) დახარჯულია 2701,4ათასი ლარით მეტი.

**2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელები**

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 23362,5 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 19161,8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 82,0%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 11380,8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 10895,4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 57%-ია.
არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 11926,0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 8210,8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 69%-ია და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 43%ია.
ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 55,6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 55,6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 1.0%-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 2728,7 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2724,5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99,9%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 25%-ია.

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 2182,3 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 1944,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 90%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 18%-ია.

,,პროცენტის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 20,3 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 20,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 0.01%-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 5284,3 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 5203,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.0%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 48,0%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 1664,5 ათასი ლარი;

- დასუფთავების ღონისძიებები - 631,2 ათასი ლარი;
- სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია - 92,5 ათასი ლარი;
- სპორტული ღონისძიებები - 729,4 ათასი ლარი.
- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება - 1764,5ათ.ლარით.

„გრანტების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 41,1 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 41,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 100,4%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 0.01%-ს შეადგენს.

„გრანტების" მუხლით ძირითადად დაფინანსებული იქნა იაპონიის საელჩოს მიერ გამოყოფილი გრანტის კურსთა შორის სხვაობა 26132 ლარი და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი სარაგბო კლუბ „ამარანტების" ხელშეწყობის განვითარებისათვის 15000ლარი.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 586,3 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 579,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.0%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 6%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- მძიმე ოპერაციები, ძვირად ღირებული გამოკვლევები, მძიმე დაავადებები,საგარანტიო წერილით დაფინანსება - 208,3ათასი ლარი.

- ხანდაზმული მოქალაქეები, ომის ვეტერანები, 18წლამდე შშმ პირები, წარჩინებული სტუდენტები, პროფ.სასწავლებელში სწავლის მსურველები 58,2ათ,ლარი.
- მოსახლეობის უფასო სასადილოებით მომსახურება - 160.9 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება - 130,3ათასი ლარი
- საკვირაო სკოლის დაფინანსება - 21.6ათასი ლარი.

„სხვა ხარჯების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 537,8 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 382,2 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 71%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 4%-ია.

„სხვა ხარჯების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- კულტურის ,სპორტის და განათლების სხვადასხვა სახეობის ფინანსური მხარდაჭერის და წარმატებული ბენეფიციარების წახალისების ღონისძიებები - 6,5 ათასი ლარი.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 87,6ათ.ლარი( საკრებულოს წევრების მიერ უფლებამოსილების განხორციელების ხარჯები 59,3 ათ.ლარი, სასამართლო ხარჯები 25,0ათ.ლარი, სადაზღვევო ხარჯი-1,7ათ.ლარი, მოსაკრებელი 1,6ათ.ლარი)
- სოციალური დაცვა - 284,1 ათ.ლარი (მევენახეობის ხელშეწყობის პროგრამა - 232,9ათ.ლარი, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარება 51,2ათ.ლარი)
- ინფრასტრუქტურის განვითარება - 4,0ათ.ლარი(საპროექტო სამუშაოები მოსახლეობის სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლის სახურავის).

| დასახელება | 20223წლის გადასახდელების შესრულება | | |
|---|---|---|---|
| | გეგმა | საკასო შესრულება | პროცენტი |
| ხარჯები | 11380,8 | 10895,4 | 96,0 |

| | | | |
|---|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 2728,7 | 2724,5 | 99,9 |
| საქონელი და მომსახურება | 2182,3 | 1944,7 | 90 |
| პროცენტები | 20,3 | 20,3 | 100 |
| სუბსიდიები | 5284,3 | 5203,2 | 99,0 |
| გრანტები | 41,1 | 41,1 | 100 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 586,3 | 579,3 | 99 |
| სხვა ხარჯები | 537,8 | 382,2 | 71 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 11926 | 8210,8 | 69 |
| ვალდებულებები | 55,6 | 55,6 | 100 |
| **სულ გადასახდელები** | **23362,5** | **19161,8** | 82 |

ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

| **ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლების ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში** (ათას ლარებში) | | |
|---|---|---|
| **დასახელება** | **2022 წელი** | |
| საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 4323,8 | 23,0 |
| თავდაცვა | 104,0 | 1,0 |
| ეკონომიკური საქმიანობა | 6598,4 | 35,0 |
| გარემოს დაცვა | 663,1 | 4,0 |
| საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 2252,0 | 12,0 |
| ჯანმრთელობის დაცვა | 132,7 | 1 |
| დასვენება და კულტურა | 2602,7 | 14,0 |
| განათლება | 1664,5 | 9,0 |
| სოციალური დაცვა | 854,3 | 5,0 |
| **სულ ხარჯები (ვალის დაფარვის გამოკლებით)** | **19195,1** | **100.0** |

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულება:

◙ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 4323.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (4412.5 ათასი ლარი) 98%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 22.6%-ს შეადგენს. მათ შორის:

• აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 4323,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (4412,5 ათასი ლარი) 98%-ია;

◙ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 9119,1 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 6598,4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 72,4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 34,4%. მათ შორის:

• ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 5411,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (7585,7 ათასი ლარი) 71%;

• სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 1104,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (1380,4 ათასი ლარი) 80,0%-ს შეადგენს.

◙ გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 889,5 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 663,1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 75%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 3,5%. მათ შორის:

• ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება - 631,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (661,4 ათასი ლარი) 95%-ია;

• ჩამდინარე წყლების მართვის დაფინანსებამ შეადგინა - 31,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (228,1 ათასი ლარი) 14%-ია;

◙ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 3569,2ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2252,0 ათასი ლარი, ანუ

გეგმიური მაჩვენებლის 63%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 11,8%. მათ შორის:

- კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 8,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (40 ათასი ლარი) 22%-ს შეადგენს;
- წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 87,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (430,9 ათასი ლარი) 20%-ს შეადგენს;
- გარე განათების დაფინანსებამ შეადგინა 268,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (280 ათასი ლარი) 96%-ს შეადგენს;
- სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში დაფინანსებამ შეადგინა 1886,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (2817,9 ათასი ლარი) 67%-ს შეადგენს.

◙ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 133,8 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 132,7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 7%. მათ შორის:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ 132,7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (133,8 ათასი ლარი) 7%;

◙ დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 2652,6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2602,7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 13,6%. მათ შორის:

- მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 766,6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (777,1 ათასი ლარი) 99%;
- მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 1799,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (1836,9ათასი ლარი) 98%-ს შეადგენს;

• სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 36,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (38,6 ათასი ლარი) 95%-ს შეადგენს.

◙ განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 1670,0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 1664,5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99,9%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 8,7%. მათ შორის:

• სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებამ შეადგინა 1565,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (1570,0 ათასი ლარი) 99,9%-ს შეადგენს;

• სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 99,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (100 ათასი ლარი) 99,9%-ს შეადგენს.

◙ სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 865,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 854,3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 5%. მათ შორის:

• ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 693,4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (865,1 ათასი ლარი) 99%;

• სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 160,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (160,9 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს.

**სარეზერვო ფონდი**

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 88,0 ათასი ლარიდან გადარიცხულია 60,1 ათასი ლარი. მათ შორის: მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად - 34,6

ათასი ლარი, მოქალაქეთა ფინანსური დახმარებისათვის - 54.4 ათასი ლარი, მოქალაქეთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების (სხვადასხვა ღონისძიებები) ხარჯების ასანაზღაურებლად - 22.0 ათასი ლარი, მოქალაქეთა სწავლის დასაფინანსებლად - 3.0 ათასი ლარი, 2021 წლის საახალწლო კონცერტების ორგანიზების უზრუნველსაყოფად - 40.3 ათასი ლარი, სხვადასხვა სახის ღონისძიებების განსახორციელებლად ორგანიზაციების ხელშეწყობა - 2.2 ათასი ლარი, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარების და (ხანძარი, მეწყრული მოვლენები და სხვა) სხვა ხარჯები - 25,5 ათასი ლარი,

| 2023 წლის ბიუჯეტით განსაზრვრული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების შესახებ | | | | |
|---|---|---|---|---|
| N | ბრძანების თარიღი და ნომერი | შინაარსი | ბრძანებით გამოყოფილი თანხა | გადარიცხული ტანხა |
| 1 | 28.02.2024 ბ80.80230593 | სტიქიის შედეგად დაზარალებული და სოციალურად გაჭირვებული მოქალაქის დახმარება | 26000 | 26000 |
| 2 | 24.03.2024 ბ80.8023083001 | სტიქიის შედეგად დაზარალებული და სოციალურად გაჭირვებული მოქალაქის დახმარება | 11600 | 11600 |
| 3 | 01.08.2024 ბ80.80232130 01 | სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქის დახმარება | 16500 | 16500 |
| 4 | 08.05.2024 ბ80.80231286 | სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქის დახმარება | 6000 | 6000 |
| | სულ | | 60100 | 60100 |

**წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან** მიმართული სახსრები

2023 წელს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გამოყოფილი

იქნა 30.0 ათასი ლარი, ხოლო გამოყოფილი ასიგნებების ათვისებამ შეადგინა 26,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 87%-ია. მათ შორის:

- სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება - 26,0 ათასი ლარი.

სესხების მომსახურება და დაფარვა სესხების მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 75,9 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (85,6 ათასი ლარი) 89%-ია. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 20,3 ათასი ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის - 55,6 ათასი ლარი.
აღნიშნული წარმოადგენს სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდთან მუნიციპალიტეტში ნაგვის გადაზიდვისთვის განკუთვნილი მანქანებისთვის 2018 წელს გაფორმებული ხელსეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაფარვას.

| გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | კრედიტორის დასახელება | სულ სესხის ოდენობა 01.01.2023 წლის მდგომარეობით | 2023 წელს დაფარული სესხი | სულ დარჩენილი დავალიანება 01.01.2024 წლის თვის | მ.შ 2024 წელს გადასახდელი სეხხის თანხა | სესხის აღების მიზანი | სესხის % | სესხის დაფარვის საბოლოო თარიღი |
| 1 | მუნიციპალური განვითარების ფონდი | 194,6 | 55,6 | 139,0 | 55,6 | ნაგვის მანქანების შესყიდვა | ფინანსური ხელშეკრულების 2.4.4 პუნქტის თანახმად განისაზღვრება სესხის გადახდის მომენტისათვის ეროვნული ბანკის მიერ | 28.10.2026 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | დადგენილი რეფნანსირ ების განაკვეთს დამატებულ ი 0.5% | |

საანგარიშო პერიოდში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული და გადარიცხული გრანტები პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით

| ორგანიზაც. კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2023 წლის გეგმა | 2023 წლის ხარჯი | სხვაობა | შესრულება % |
|---|---|---|---|---|---|
| **0** | სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან გამოყოფილი გრანტები [1] | | | | |
| 0 | ჯამური | 447,1 | 447,1 | 0 | 100 |
| **01 00** | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | **447,1** | **447,1** | **0** | **100** |
| 0 | ჯამური | 9849,0 | 6976,5 | 2872,5 | 71,0 |
| **02 00** | ინფრასტრუქტურის ღონისძიებები | **9849,0** | **6976,5** | **2872,5** | **71,0** |
| 0 | ჯამური | 6177,8 | 4731,3 | 1446,5 | 77,0 |
| **02 01** | საგზაო ინფრასტრუქტურა | **6177,8** | **4731,3** | **1446,5** | **77,0** |
| 0 | ჯამური | 501,0 | 0 | - | - |
| **02 02** | წყლის სისტემების განვითარება | **501,0** | **0** | **-** | **-** |
| 0 | ჯამური | 188,6 | 18,0 | 170,6 | 10 |
| 02 03 | სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 188,6 | 18,0 | 170,6 | 10 |
| 0 | ჯამური | 4,6 | 0 | - | - |
| 02 04 | საკანალიზაციო სისიტემების ექსლუატაცია და რეაბილიტაცია | 4,6 | 0 | - | - |
| 0 | ჯამური | 2392,5 | 1541,4 | 851,1 | 65,0 |
| 02 05 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 2392,5 | 1541,4 | 851,1 | 65,0 |
| 0 | ჯამური | 91,5 | 14,9 | 76,6 | 17,0 |
| 02 06 | რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება | 91,5 | 14,9 | 76,6 | 17,0 |
| 0 | ჯამური | 686,2 | 670,9 | 15,3 | 98,0 |
| 02 07 | სოფლის პროგრამა | 686,2 | 670,9 | 15,3 | 98,0 |

**მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული პრიორიტეტები:**

- ინფრასტრუქტურა - 8882,3 ათასი ლარით, რაც გეგმის (12916,4 ათასი ლარი)69%-ია;
- გარემოს დაცვა და დასუფთავება - 631,2 ათასი ლარით, რაც გეგმის (661,4 ათასი ლარი)96%-ია;
- განათლება - 1664,5 ათასი ლარით, რაც გეგმის (1670,0 ათასი ლარი) 99,7%-ია;

- კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი - 2524,6 რაც გეგმის (2553,5 ათასი ლარი) 99,0%-ია;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 976,3 ათასი ლარით, რაც გეგმის (987,4 ათასი ლარი) 99,0%-ია;
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 4482,9 ათასი ლარით, რაც გეგმის (4563,0 ათასი ლარი) 99,0%-ია.

## 1.0 ინფრასტრუქტურის განვითარება (02 00)

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში ასახული ბიუჯეტით დამტკიცებული პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის განვითარება"(ორგ.კოდი 02 00) შემადგენლობაში არსებული პროგრამების შესრულების წარმოდგენილ მონაცემებთან და პროგრამების შესრულების შედეგებთან ერთად მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ აღვნიშნოთ იმ ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ, რაც ამ სფეროში გვაქვს. კერძოდ, ამ პრიორიტეტში ძირითადი ხვედრითი წილი უჭირავს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. როგორც ცნობილია ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება მოიცავს ურთიერთდაკავშირებული პროცესები განხორციელებას, კერძოდ, პრიორიტეტის ფარგლებში გასახორციელებელი პროექტის წესის დადგენა და შეთანხმება, ბიუჯეტის დაგეგმარება და შესყიდვის გეგმების შედგენა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვისათვის, საკუთრივ პროექტით გათვალისწინებული სამუშაოს შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, პროექტით განხორციელებული შედეგების აღრიცხვა-ანგარიშგება. მუნიციპალიტეტის სინამდვილესი ზემოთაღნიშნული ყველა სტადია დროულად ხორციელდება, მაგრამ რიგი ობიექტური მიზეზები დროში აჭიანურებს დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას, რაც პროგრამების შესრულების წლიურ შედეგებზე უარყოფით გავლენას ნახდენს. არის შემთხვევები როცა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვრო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე დადებული ხელშეკრულებებში იცვლება მიწოდების ვადები( კლიმატური პირობების გამო აზომვითი

სამუშაოების ვერ განხორციელების გამო, ასევე შედგენილი პროექტის ექსპერტიზის დაგვიანებით წარმოდგენის გამო), რაც მნიშვნელოვნად აჭიანურებს სამუშაოს შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერების საკითხს. რაც შეეხება საკუთრივ სამუშაოს შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერებს , იგი დროულად ცხადდება, მაგრამ სხვადასხვა სტადიაზე ხდება სხვადასხვა პირების მიერ გასაჩივრება და საკითხი გადადის სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების საბჭოში, სადაც არსებული წესების შესაბამისად საკითხის განხილვა და მუნიციპალიტეტის მხრიდან სათანადო დოკუმენტაციის წარდგენა დროის მნიშვნელოვან მონაკვეთს მოიცავს. მუნიციპალიტეტი დროულად ერთვება დავებში და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში ახდენს რეაგირებას და ფაქტობრივად ყველა შემთხვევაში იმარჯვებს, მაგრამ სამართლებრივად საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის დროის დიდი მონაკვეთი იკარგება. აღნიშნულის გათვალისწინებით სამუშაოების დიდი ნაწილის შესრულება ხორციელდება ზამთრის პირობებში რაც მაღალმთიანი რეგიონის პირობებში კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას და ხშირად ხელშეკრულების მოქმედების და მიწოდების ვადები მომდევნო წელს გადადის, რაც იწვევს თანხების აუთვისებლობას და წლის ბოლოს ნაშთების არსებობას. აღნიშნული მოვლენები 2023 წელს მრავლად აღინიშნებოდა. მუნიციპალიტეტის მერიას გაანალიზებული აქვს თითოეული პროგრამის და პროექტის განხორციელებაში არსებული ფაქტობრივი გარემოებები. ცალკე უნდა აღინიშნოს , რომ რიგ ობოექტებზე(წიფერჩის წყალსადენი, ქულბაქის საბავშვო ბაღი, დაშნიანის ქუჩის რეაბილიტაცია, ორბელის წყალსადენი) არის სასამართლო დავები, რომელთა გადაწყვეტა და შემდგომ საქმიანობის გაგრძელება მუნიციპალიტეტის ნების დამოუკიდებლად დროის გარკვეულ პერიოდს მოიცავს. მუნიციპალიტეტის მერიას გათავისებული აქვს, რომ კომკრეტული პროგრამის და პროექტის განხორციელება დროულად უნდა დასრულდეს და აისახოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე, მაგრამ რეალური პრობლემები რაც დამდგარია ზოგიერთ პროექტთან დაკავშირებით დამატებით გადაწყვეტილებას მოითხოვს.

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის (02 01) 2023 წელს გამოყოფილი იქნა 7099.8ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 4945.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 69.7%-ია.

აღნიშნული სახსრებით სოფელ ჩქუმის, ქორენიშის, ორბელი „ქოლბანის უბანი“-ს, ლაჯანის, აღვის, სურმუშის, წიფერჩის, ლასურიაშის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია. მთის განვითარების ფონდის დაფინანსებით დაიწყო ზოგიში-

ცაგერას გზის რეაბილიტაცია, რაზედაც დაიხარჯა 967450 ლარი, დაიგო 8 კმ ბეტონის გზა, ხოლო მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით დასრულდა სოფელ ზუბის, ღვირიშის, ქულბაქი-მწვანე ტბის მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები, დაიგო 13,8 კმ გზა, სულ დაიგო 22 კმ გზა.

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | |
| პროგრამის გამახორციელებელი | სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა სასოფლო გზის საფარის სიგრძე შედგენს227,5 . კმ . საუბნო გზები 285კმ-ია, სულ 512,5 კმ. მათ შორის გრუნტის საფარიანია 414,8 კმ. ასფალტის საფარიანი 26,7კმ, ხოლო ბეტონის საფარიანი 71 კმ. სარეაბილიტაციო საგზაო სტანდარტებს აკმაყოფილებს მხოლოდ 21 პროცენტი, მუნიციპალიტეტის მიერ მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცევა საგზაო ინფრასტრუქტურის განახლებას, ამასთანავე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო შიდა სასოფლო გზების მოვლა-შენახვის პერიოდულ განხორციელებას, როგორც ორმულ შეკეთებებს, ასევე ზამთრის სეზონზე თოვლის საფარისაგან გაწმენდითი სამუშაოების ჩატარებას, სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების შეკეთებითი სამუშაოების განხორციელებას. | | |
| დაგეგემილი საბოლოო შედეგი | პროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება, შექმნილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა | მიღწეული შედეგი | ინფრასტრუქტურა გამართულად ფუნქციონირებს, ტრანსპორტი და მოსახლეობა შეუფერხებლად გადაადგილება, შექმნილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა, განხორციელდა 14 საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი |

| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| № | მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| 1 | რეაბილიტირებული გზები, | 21% | 25% | 70% | 5% | ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა სასოფლო გზა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტანდარტების შესაბამისად | | | | | შეადგენს 227,5 კმ-ს, ხოლო საერთო ჯამში ასფალტის და ბეტონის საფარის ქვეშ მოქცეულია 97,7 კმ გზა,რაც საერთო გზის 43 % -ს შეადგენს. |
| 2 | კმაყოფილი მოსახლეობა (ან უკმაყოფილება) | 25% | 35% | 45% | 5% | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | | | 02 01 01 | გზების მოვლა შენახვა | | |
| ქვეპროგრამის გამახორციელებელი | | | ინფრასტრუქტურის და სივრცითი განვითარების სამსახური | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | | | ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების ხარისხიანი შენარჩუნება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ასფალტის გზის გზის საფარი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ არის დაზიანებული, პროექტის მიზანია განხორციელდეს გზის დაზიანებული საფარის ორმოული შკეთება, ასევე წლის განმავლობაში დაზიანების შემთხვევაში ოპერატიულად განხორციელდეს გზის სავალი ნაწილის მონიშვნა ნიშანსადები საღებავით, მიწის ვაკისის მოშანდაკება ავტოგრეიდერით, გზარების ამოვსება ა/ბ ნარევით, მოთხოვნის შემთხვევაში აუცილებლობიდან გამომდინარე სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების და საგზაო ნიშნების მოწყობა. | | | |
| დაგეგემილი შუალედური შედეგი | | | გზის საფარის მდგომარეობის შენარჩუნება | | მიღწეული შედეგი | 2023 წლისათვის შიდა სასოფლო გზის მოვლა შენახვის მიზნ,ით განხორციელდა 141,9 ლარის სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები.სოფლებში გზის გამტარუნარიანობის შენარჩუნება. |
| | დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
| № | მოსალოდნელი | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებ | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელ | |

| | | | ლი | | ი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | (%/აღწერა) | |
| 1 | მოსავლელი გზის საფარის რაოდენობა (კმ) | 227,5 | 227,5 | 227,5 | | მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გზების მთლიან მონაკვეთზე უზრუნველყვეს მოვლა-შენახვის სამუშაოები |

- **წყლის სისტემების განვითარება** (02 02 ) 2023 წელს გამოყოფილი იქნა 659,1 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 119,8 ათასი ლარით, რაც გეგმის 18,2%-ია.

  2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით შეძენილი იქნა 65,4 ლარის ღირებულების სასმელი წყლის მილები, 20980 გრძ/მ მოსახლეობას მოთხოვნის შესაბამისად გადაეცა სხვადასხვა სოფლებს, ხოლო სოფლიის მხარდაჭერის ფარგლებში შეძენილი იქნა 3252 გრძ/მ პლასტმასის მილები ღირებულებით7070 ლარი, სულ ამ მიმართულებით გაწეულმა დანახარჯმა 72502 ლარი შეადგინა. ასევე განხორციელდა ქ.ცაგერის და სოფ.ქვედა ცაგერის მოსახლეობის მიერ მოხმარებული სასმელი წყლის სუბსიდირება, რაც თანხობრივად შეადგენს 20,7ათ.ლარის, ამავე პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფ.ქვ.ცაგერიში საიაღვრე არხის მშენებლობა და მუნიციპალიტეტს გაეწია12,5ათ.ლარის საკანალიზაციო სქელის მომსახურების სამუშაოები.

| | | |
|---|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | 02 02 | წყლის სისტემების განვითარება |
| პროგრამის გამახორციელებელი | ინფრასტრუქტურისა განვითარების სამსახური | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება წყლის სისტემების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას.<br><br>წყლის სისტემების რეაბილიტაციის პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის | |

| | |
|---|---|
| | მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას.<br>წყლის სისტემების ექსპლოატაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ცაგერის მუნიციპალიტეტის 57 სოფელში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას. ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში შეძენილი წყალსადენის მილები მოხმარდა არსებული წყალსადენის სარემონტო სამუშაოების განხორციელებას. პროგრამის ფარგლებში ასევე ანაზღაურდება ქ.ცაგერის და ნაწილობრივ ქვ.ცაგერის მოსახლეობის მიერ მოხმარებული წყლის გადასახადის(10₾) ღირებულების სუბსიდირება.<br>პროგრამის ფარგლებში  განხორციელდა  მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობის და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.<br> ლოკაციების შერჩევა განხორციელდა მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.<br>პროგრამის ს მიხედვით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო ქსელის მშენებლობა და  კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში, ასევე ხორციელდება ახალი  ქსელის მოწყობის სამუშაოები.<br>მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს  შეუფერხებლი უნდა ჰქონდეს წვდომა სასმელ წყალზე; მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ფინანსური შეღავათის გაწევა , სტიქიის პრევენცია; მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უსაფრთხოების გაზრდა; მუნიციპალიტეტის  დასახლებებში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა |

| | | | |
|---|---|---|---|
| დაგეგემილი საბოლოო შედეგი | პროგრამის მიზანია წყლის სისტემების ექსპლოტაცია უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობების დროულად აღმოფხვრა;სანიაღვრე ქსელის გამართული მუშაობა;საკანალიზაციო ქსელის  გამართულ და უწყვეტ რეჟიმში მუშაობა<br>. | მიღწეული შედეგი | სოფლის წყალმომარაგები ს სისტემების მოწესრიგებით მომხმარებლებს მიეწოდება სასმელი წყალი შეუფერხებლად. |

| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | განმარტება |
|---|---|---|

| № | მოსალოდნელი<br>შედეგის შეფასების ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი<br>(%/აღწერა) | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეაბილიტირებული | 19% | 19% | 21% | 5% | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | წყლის და საკანალიზაციო სისტემები სტანდარტების შესაბამისად | | | | | |
| 2 | კმაყოფილი მოსახლეობა (ან უკმაყოფილება) | 45% | 55% | 40% | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | | | 02 02 01 | წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | | |
| ქვეპროგრამის გამახორციელებელი | | | ინფრასტრუქტურის და სივრცითი განვითარების სამსახური | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | | | 2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით შეძენილი იქნა 65,4 ათ.ლარის ღირებულების სასმელი წყლის მილები, 20980 გრძ/მ მოსახლეობას მოთხოვნის შესაბამისად გადაეცა სხვადასხვა სოფლებს, სულ ამ მიმართულებით გაწეულმა დანახარჯმა 72502 ლარი შეადგინა. ასევე განხორციელდა ქ.ცაგერის და სოფ.ქვედა ცაგერის მოსახლეობის მიერ მოხმარებული სასმელი წყლის სუბსიდირება, რაც თანხობრივად შეადგენს 20,7ათ.ლარის. | | | |
| დაგეგემილი შუალედური შედეგი | | | წყლის სისტემების ექსპლოტაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად; | | მიღწეული | სოფლის წყალმომარაგების სისტემების მოწესრიგებით მომხმარებლებს მიეწოდება სასმელი წყალი შეუფერხებლად. |
| | | | | | შედეგი | |
| | დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
| № | მოსალოდნელი | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებე | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | <br>შედეგის შეფასების ინდიკატორი | | ლი | | ი<br>(%/აღწერა) | |
| 1 | რეაბილიტირებული წყლის სისტემის მაგისტრალის რაოდენობა (კმ) | 35970კმ | 35970კმ | 35970 | | მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წყლის სისტემების მოვლა-შენახვის სამუშაოები |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | | | 02 02 02 | სანიაღვრე არხების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | | |
| ქვეპროგრამის გამახორციელებელი | | | **სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური. არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური** | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | | | ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო ცაგერის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობის პროექტების განხორციელება. 2023 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში და მოსახლეობის მიერ ლოკაციების შერჩევით განხორციელდა ქვ. ცაგერში ბენდელიანების უბანში და 2023 წელს დაიწყო დაა ამ ეტაპზე მიმდინარეობს სოფ. ჭალისთავში საღინაძეების უბანში სანიაღვრე არხებისა და ცხაურების რეაბილიტაციის პროექტები ღირებულებით 188567 ლარი, გარდა ამისა რეგიონალური პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში განხორციელდა 14 პროექტი, რომლებიც ითვალისწინებდა ანაკრები ბეტონისა და ღია სანიაღვრე არხების მოწყობას 4000 გრძ/მეტრზე. | | | |
| დაგეგმილი შუალედური შედეგი | | | სანიაღვრე სისტემის შექმნა და საგზაო ინფრასტრუქტურის დაცვა და გამართული ფუნქციონირება, | | მიღწეული<br>შედეგი | გამართულად ფუნქციონირებს სანიაღვრე სისტემები. |
| | დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
| № | მოსალოდნელი<br>შედეგის შეფასების ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი<br>(%/აღწერა) | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მოსახლეობის უსაფრთხოების გაზრდა; | 27779გრძ/მ | 27779გრძ/მ | 27779გრძ/მ | | გზის საფარის შენარჩუნება და სტიქიის პრევენცია |

| | | |
|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | 02 02 03 | საკანალიზაციო სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია |
| ქვეპროგრამის გამახორციელებელი | სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური. ზედამხედველობის სამსახური | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო ქსელის მშენებლობა, კაპიტალურ რეაბილიტაციას და ქსელის მომსახურებას,საჭიროების შემთხვევაში, ასევე ხორციელდება ახალი ქსელის მოწყობის სამუშაოები. ჩამდინარე წყლების ქსელით მოცულია ქ.ცაგერისა და მის მიმდებარე სოფ.ქვ.ცაგერის ახალდასახლების უბანი, რომლის ექსპლუატაციას სახელმწიფო შესყიდვების წესით ანხორციელებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია, ამ მიზნით 2023 წელს გამოყოფილმა სახსრებმა 24000 ლარი შეადგინა, ხოლო ათვისებული იქნა 12,5ათ.ლარი,რითაც ხდება ავარიული საკანალიზაციო ქსელისა და მაგისტრალის გაწმენდა-გატანის სამუშაოები, მწყობრიდან გამოსული საკანალიზაციო ქსელის მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება.<br>მიზანი: ჩამდინარე წყლების სისტემის გამართული ფუნქციონირება | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დაგეგმილი შუალედური შედეგი | საკანალიზაციო ქსელის გამტარუნარიანობის შენარჩუნება | მიღწეული შედეგი | 11კმ საკანალიზაციო ქსელი მოვლა-შენახვა |

| № | დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| 1 | გაწმენდილი ჭების რაოდენობა. საკანალიზაციო მაგისტრალის | 140 | 150 | 153 .<br>2960 გრძ/მ მაგისტრალის გარეცხვა | 2% | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გაწმენდა გრძ/მ, საკანალიზაციო სეპტიკების ამოტუმბვა მ3 | | | სეპტიკი 50 მ3. | | |
| 2 | კმაყოფილი მოსახლეობა (ან უკმაყოფილება) | | | | | |

1.4 **გარე განათების განვითარებისთვის** (02 03) 2023 წელს გამოყოფილი იქნა 427,5 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 415,3 ათასი ლარით, რაც გეგმის 97,2%-ია.

აღნიშნული სახსრებით განხორციელდა გარე განათების ქსელი მოვლა-პატრონობა, სანათების გამოცვლა, მოძველებული ქსელის გამო სხვა ტექნიკური საშუალებების გამოცვლა, 2023 წელს ცაგერის მუნიციპალიტეტში განხორციელდა გარე განათების 28-პროექტი, მათ შორის 23 პროექტი მოიცავდა გარე განათების მოწყობის სამუშაოების გაგრძელებას, ხოლო 5 სოფელში ახალ მიერთებებს. სულ დამონტაჟდა 356 ახალი ბოძი შესაბამისი განათებით, საერთო ღირებულებით 239170 ლარი.
გადახდილია გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგია.

| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | 02 03 | გარე განათების განვითარება |
|---|---|---|
| პროგრამის გამახორციელებელი | საფინანსო სამსახური და შპს"კომუნალური მომსახურება | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ცაგერში და 58 სოფელში. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული4101 სანათი წერტილის მოვლა-პატრონობა 151 კმ გრძივი მეტრი საკაბელო ხაზით.<br>გარე განათების ქსელის ექპლოტაციის პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან:<br>- გარე განათების ქსელი მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება;<br>- გარე განთების ქსელის მოვლა-პატრონობა;<br>გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურების ქვეპროგამსათვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული განათების წერტილების 4101 სანათი წერტილის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას. | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
